თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7936400

ნომერი: AR11129972

თარიღი : 28.04.2026

გაცემის თარიღი : 27.05.2026

გაცნობის თარიღი : 27.05.2026

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბაქრაძე , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა სვანიძე პ/ნ 01003021229
- მარშალ გელოვანის გამზირი4ა. ბინა22.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2026 წლის 28 აპრილის №AR11129972 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 1 დეკემბრის №7724512 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 26 წლის 6 მაისის №7908979 ბრძანებით და 2026

წლის 8 მაისის №7913892, 2026 წლის 19 მაისის №7925985 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ისევ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები, კერძოდ, კვლავ შეცვლილია გეგმარება, მაგ.: +6.60 და +9.90 ნიშნულების გეგმებზე. რაც დაუშვებელია და არ წარმოადგენს, ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
დამატებით, კიდევ ერთხელ, განგიმარტავთ, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისგან განსხვავებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული გასწორებული დოკუმენტაცია და ამასთან, სამსახურის არაერთი გადაწყვეტილებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2026 წლის 28 აპრილის №AR11129972 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.